შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო., თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68-ში, ს/კ №01.14.14.009.052 მიწის ნაკვეთზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს ახალი ამბების სამსახურის ახალი "ნიუსრუმი"-ს შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის

სამშენებლო დასკვნა

ქ. თბილისი, №106/16 „12“ ივლისი 2016წ

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია:

ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68-ში ს/კ №01.14.14.009.052 მიწის ნაკვეთზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს ახალი ამბების სამსახურის ახალი "ნიუსრუმი"-ს შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილ იქნა პროექტის სრული კომპლექტი:

1. არქიტექტურული ნაწილი – არქიტ: გ. ადუაშვილი;
2. კონსტრუქციული ნაწილი – კონსტრ: ა. კორკოტაშვილი;
3. სამშენებლო უბნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები – შ.პ.ს. „ახალი საქალაქმშენპროექტი“
4. მზიდი კონსრუქციების სანგარიშო ანალიზი სტატიკურ და დინამიკურ ზემოქმედებაზე გაანგარიშებული „Lira 9-6“ „Lira-SAPR 2015“ პროგრამული კომპლექსის მეშვეობით (ლიცენზია №3289) – შემსრ: ი. ტიმჩენკო;

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:

- საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დაწნევა – 80 კგძ/მ^2;
- თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2;

საპროექტო შენობა 2 სართულიანია დაბალი მიწისქვეშა ტექნიკური სართულით. შენობა გეგმაში ტრაპეციის ფორმისაა გაბარიტული ზომებით (29.80X57.70) მ. ტექნიკური სართულის სიმაღლე შეადგენს 2.4 მ-ს, ხოლო I და II სართულების სიმაღლეა H=3.6 მ. შენობა „4-9"/"ბ-ე" ღერძების ზონაში ე.წ. ორ სინათლიანია.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით გრუნტების ლითოლოგიური ჭრილი წარმოდგენილია: 1 ფენა – ნაყარი, 2 ფენა – ტბიური თიხოვანი გრუნტები, თიხების, თიხნარებისა და ქვიშნარების თხელი შრეობრივი მორიგეობა. გრუნტის წყლის დონე გამოვლინდა 413.00-413.50 ნიშნულზე (გრუნტის ზედაპირიდან 8.0 მ-ის სიღრმეში. ტბიური თიხების პირობითი საანგარიშო წინაღობა (ფენა 1) – 2.50 კგძ/სმ^2;

საავტორო კოლექტივის მიერ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებულია შემდეგი გადაწყვეტები:

1. საძირკვლები – სვეტების ქვეშ (ღერძების გადაკვეთაზე) მოეწყო ე.წ. დაკიდული ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები (d=800 მმ; l=8.0 მ), რომლებიც ტექნიკური სართულის დონეზე დაკავშირებულია ერთმანეთთან მონოლითური რკინა-ბეტონის როსტვერკით (hXB)=(80X100) სმ;
2. სარდაფის კედლები – მონოლითური რკინა-ბეტონის, სისქით 30 სმ;
3. სვეტები – მონოლითური რკინა-ბეტონის კვეთით (40X60) და (40X80) სმ;
4. რიგელები – მონოლითური რკინა-ბეტონის კვეთით 0.00 ნიშნულზე (40X60h)სმ, 3.60 და 7.20 ნიშნულებზე (40X50h) სმ, ორ სინათლიან ნაწილზე 8.400 ნიშნულზე - (40X120) სმ;
5. გადახურვები – მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა, სისქით 20 სმ ორმაგი შწყვეტი არმირებით;
6. ლიფტის შახტა – მონოლითური რკინა-ბეტონის კედლებით, სისქით 20 სმ;
7. კიბეები – მონოლითური რკინა-ბეტონის კიბის მარშები და მოედნები;

პროექტში მიღებულია მძიმე ბეტონი, კლასით **B2S,** არმატურა A-500c და A-240;

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მასში მიღებული გადაწყვეტები აკმაყოფილებს

საქართველოში მოქმედი ნორმატიული დაკუმენტების მოთხოვნებს, იგი დამუშავებულია საკმაოდ ამომწურავად. საავტორო კოლექტივის მიერ სრულად არის გათვალისწინებული პირველადი ექსპერტიზის შენიშვნები და სურვილები.

დასკვნა: ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №68-ში ს/კ №01.14.14.009.052 მიწის ნაკვეთზე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს ახალი ამბების სამსახურის ახალი "ნიუსრუმი"-ს შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვით და ექსპერტიზა უფლებას აძლევს განსახორციელებლად.

შპს „ბაზისი-XXI"-ის
გენერალური დირექტორი, კონსტრუქტორი: /ი.ცერცვაძე/

შპს „ბაზისი-XXI"-ის
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ი. ცერცვაძე/